www.geostat.ge

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ინფლაცია საქართველოში

2017

ნოემბერი

04.12.2017

www.geostat.ge

04.12.2017

ინფლაცია საქართველოში, 2017 წლის ნოემბერი

2017 წლის ნოემბერში საქართველოში ინფლაციის დონემ წინა თვესთან შედარებით 1,1 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 6,9 პროცენტი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების ფასების პროცენტული ცვლილება და შესაბამისი წვლილი ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში **წინა თვესთან შედარებით.**

პროცენტული ცვლილება წინა თვესთან შედარებით

	%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	0.8
ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	1.7
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	-0.2
საცხოვრებელი, წყალი, ელ.ენერგია, აირი	0.5
ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა	1.3
ჯანმრთელობის დაცვა	0.9
ტრანსპორტი	2.8
კავშირგაბმულობა	0.5
დასვენება, გართობა და კულტურა	0.7
განათლება	0.8
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	0.3
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	0.4
ინფლაციის დონე, სულ	**1.1**

ჯგუფების წვლილი* 2017 წლის ნოემბრის ინფლაციაში (სულ 1,1%)



მოცემულ პერიოდში ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

ტრანსპორტი: ჯგუფში ფასები გაიზარდა 2,8 პროცენტით, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე აისახა 0,39 პროცენტული პუნქტით. ფასები გაიზარდა სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე (9,5 პროცენტი), სატრანსპორტო მომსახურებაზე (4,5 პროცენტი) და პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (1,6 პროცენტი);

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ჯგუფში ფასები გაიზარდა 0,8 პროცენტით, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0,26 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები გაიზარდა ქვეჯგუფებზე: ბოსტნეული და ბაღჩეული (6,5 პროცენტი), შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (1,4 პროცენტი), რძე, ყველი და კვერცხი (1,2 პროცენტი) და ზეთი და ცხიმი (0,7 პროცენტი). ამასთან, ფასები შემცირდა ხილსა და ყურძენზე (-9,2 პროცენტი);

ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ფასები გაიზარდა 1,7 პროცენტით, რაც 0,12 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში. ჯგუფში ფასების მატება დაფიქსირდა როგორც თამბაქოს ნაწარმზე (1,9 პროცენტი), ისე ალკოჰოლურ სასმელებზე (1,4 პროცენტი).

* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინფლაციის მთლიან მაჩვენებელს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების ფასების პროცენტული ცვლილება და შესაბამისი წვლილი 2017 წლის **ნოემბრის წლიური ინფლაციის** მთლიან მაჩვენებელში.

პროცენტული ცვლილება წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით

	%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	7.5
ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	19.4
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	-1.3
საცხოვრებელი, წყალი, ელ.ენერგია, აირი	2.2
ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა	3.9
ჯანმრთელობის დაცვა	6.4
ტრანსპორტი	15.8
კავშირგაბმულობა	-0.9
დასვენება, გართობა და კულტურა	0.8
განათლება	1.9
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	4.2
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	4.2
ინფლაციის დონე, სულ	**6.9**

ჯგუფების წვლილი* 2017 წლის ნოემბრის ინფლაციაში წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, (სულ 6.9%)



წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ფასები გაიზარდა 7,5 პროცენტით, რაც 2,24 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში. ფასები გაიზარდა ქვეჯგუფებზე: ბოსტნეული და ბაღჩეული (25,8 პროცენტი), ხორცი და ხორცის პროდუქტები (9,9 პროცენტი), რძე, ყველი და კვერცხი (9,7 პროცენტი), ხილი და ყურძენი (9,0 პროცენტი), ზეთი და ცხიმი (7,4 პროცენტი), ყავა, ჩაი და კაკაო (6,1 პროცენტი);

ტრანსპორტი: ფასები მომატებულია 15,8 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე 2,02 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები გაიზარდა პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (18,9 პროცენტი), სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე (18,6 პროცენტი) და სატრანსპორტო მომსახურებაზე (8,5 პროცენტი);

ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ფასები გაიზარდა 19,4 პროცენტით, რაც 1,24 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში. ჯგუფში ფასების მატება დაფიქსირდა თამბაქოს ნაწარმზე (40,4 პროცენტი);

ჯანმრთელობის დაცვა: ფასები გაიზარდა 6,4 პროცენტით, რაც 0,55 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში. ჯგუფში ფასების მატება დაფიქსირდა სამედიცინო პროდუქციის, აპარატურის და მოწყობილობების ქვეჯგუფზე (12,2 პროცენტი) და ამბულატორიულ სამედიცინო მომსახურებაზე (6,3 პროცენტი).

* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინფლაციის მთლიან მაჩვენებელს.





საკონტაქტო პირი: გიორგი თეთრაული
ტელ: (+995 32) 236 72 10 (400)
ფაქსი: (+995 32) 236 72 13
ელ. ფოსტა: gtetrauli@geostat.ge